

გაკვეთილზე დასწრება, როგორც განათლების ხარისხზე ორიენტირებული სასკოლო გარემოს განმსაზღვრელი ფაქტორი

ნინო გორგილაძე

ქობულეთის კერძო სკოლის „ელიტსქულ“-ის მასწავლებელი
საკონტაქტო ინფორმაცია: 593 23 22 29nino.gorgiladze@gmail.com

რეზიუმე

წარმოდგენილი ნაშრომი გაკვეთილზე დასწრების დადებითი მხარეების გამოვლენასა და აღნიშნულ საკითხში მასწავლებლებისათვის უშუალო დახმარებას ეძღვნება. გაკვეთილზე დასწრების საკითხისადმი ყველა დროში არაერთგვაროვანი მიდგომა იყო. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება იმაზე, რომ გაკვეთილზე დასწრება მასწავლებელში იწვევს სტრესისა და, საერთოდ, უარყოფითი ემოციების განსაკუთრებულ მომძლავრებას. თუმცა, მიუხედავად ამისა, გაკვეთილზე დასწრების პრაქტიკა ყოველთვის არსებობდა და არსებობს დღესაც. ნაშრომში წარმოდგენილია არსებული ლიტერატურის ანალიზი და პრაქტიკოს დირექტორთა და მასწავლებელთა გამოკითხვების შედეგად ჩამოყალიბებული მოკრძალებული დასკვნები და რეკომენდაციები. ავტორის მიზანია, აღნიშნული მცირე კვლევით დახმარება გაუწიოს მოქმედ დირექტორებსა და განათლების სისტემაში მოღვაწე პროფესიულ კადრს გაკვეთილზე დასწრების პროცესის უმტკივნეულოდ წარმართვის უზრუნველყოფაში.

საკვანძო სიტყვები: გაკვეთილზე დასწრება; სასწავლო პროცესის მონიტორინგი; გაკვეთილის შეფასების;

განათლების მაღალი ხარისხის მიღწევა და შენარჩუნება, მოსწავლეთა აღზრდის გამართული სისტემის ჩამოყალიბებასთან ერთად, ნებისმიერი სასწავლო დაწესებულების უმთავრესი მიზანი და ამოცანაა. ამ საკითხს სკოლის თითოეულმა სტრუქტურულმა ერთეულმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს, რადგან იგი სკოლის წარმატებული მუშაობის მაჩვენებელი ერთ-ერთი არსებითი ინდიკატორია.

განათლების ხარისხი ორი უმთავრესი კომპონენტისაგან შედგება - სწავლების ხარისხისა და სწავლის ხარისხისაგან. ამათგან სწავლის ხარისხის შედეგი ძალიან თვალნათელია და აისახება მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაში, კონკურსებსა და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობისას, უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხულთა სტატისტიკასა და გრანტებში და სხვ.

სწავლების ხარისხი კი გულისხმობს სხვადასხვა სუბიექტის (სახელმწიფო, სკოლა, პედაგოგი) ქმედებებს მოსწავლეთათვის ცოდნის მისაღებად და პრაქტიკული ცხოვრებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ჩამოსაყალიბებლად. ამ სუბიექტის კვალიფიციური და კოორდინირებული მუშაობის გარეშე ხარისხის სასკოლო სისტემა

ვერ შეიქმნება. სწავლების ხარისხის უზრუნველყოფელ კომპონენტებში იგულისხმება პედაგოგის მოტივაცია, მასწავლებლის ცოდნა, უნარები და გამოცდილება, პედაგოგის აკადემიური დატვირთვის ოპტიმალურობა, სასწავლო რესურსები და მათი გამოყენების ხარისხი, სწავლების მეთოდოლოგიური და ტექნოლოგიური მრავალფეროვნება და ა. შ.

სწავლება-სწავლის პროცესებისა და შედეგების მონიტორინგის მიზნით, სკოლის დირექტორი მუდმივად უნდა ახორციელებდეს მრავალფეროვან ღონისძიებებს, რომელთა შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია გაკვეთილზე დასწრების სისტემის მიზანმიმართული ფუნქციონირება. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 43-ე მუხლის "ლ" პუნქტით განსაზღვრულია, რომ „სკოლის დირექტორი ზედამხედველობს სკოლაში მიმდინარე სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს“. სასწავლო პროცესის მართვას ეხება საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტის (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N115/ნ 30.11.2010 ბრძანების დანართი) II თავის მე-4 მუხლის I პუნქტიც, სადაც ნათქვამია, რომ „საჯარო სკოლის დირექტორი ზრუნავს მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესებაზე და ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების სრულფასოვან რეალიზებას“.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ 2011 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში „სკოლის დირექტორის პრაქტიკული გზამკვლევი“ სკოლის წარმატების განმსაზღვრელ ერთ-ერთ მახასიათებლად სწორედ სწავლისა და სწავლების ხშირი მონიტორინგია დასახელებული და ნათქვამია, რომ „წარმატებულ სკოლებში რეგულარულად და ეფექტიანად აკვირდებიან და აგროვებენ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ სწავლობენ მოსწავლეები და როგორ ასწავლიან მასწავლებლები. აღნიშნული ინფორმაცია გამოიყენება სწავლების პრაქტიკის გაუმჯობესებისა და მოსწავლეების შედეგების ამაღლების მიზნით“ (9, 48). წარმატებულ სკოლებში მოსწავლეების სწავლის პროცესისა და სწავლის შედეგების პარალელურად მონიტორინგს უწევენ უშუალოდ სწავლების პროცესს. სწავლების მონიტორინგისთვის საჭიროა ინფორმაციის შეგროვება და იმ პროცესების ანალიზი, რომლებიც საკლასო ოთახებში მიმდინარეობს.

\$1. სკოლაში გაკვეთილზე დასწრების მიზანი და მნიშვნელობა

სასურველი მიზნის მიღწევისთვის ნებისმიერ სფეროში და მათ შორის განათლებაში, მნიშვნელოვანია არსებული მდგომარეობის ხშირად გაზომვა სასურ-ველ მდგომარეობასთან მიმართებით. განათლების მკვლევარები და ექსპერტები სწავლებისა და სწავლის მონიტორინგს და სათანადო მონაცემების შეგროვებასა და ანალიზს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ და სკოლის წარმატების განმსაზღვრელ აუცილებელ ფაქტორად მიიჩნევენ (მარზანო). მონიტორინგის გარეშე შეუძლებელია სწავლებისა და

სწავლის პრაქტიკაში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირება და მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესების მიზნით მათი კორექტირება.

სწავლისა და სწავლების ეფექტური მონიტორინგი მოითხოვს ყურადღების მიქცევას როგორც მოსწავლეების სწავლის შედეგებზე, ასევე საკლასო ოთახში სწავლების პროცედურებსა და სხვადასხვა სასკოლო პოლიტიკასა თუ პრაქტიკაზე. ორივე კომპონენტი საკმაოდ კომპლექსურია და მოითხოვს სხვადასხვა სახის ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზს მასწავლებლის, ადმინისტრაციის წარმომადგენლისა თუ მოსწავლის მხრიდან. „წინააღმდეგ შემთხვევაში სკოლა ემსგავსება ბევრი იზოლირებული საკლასო ოთახის ერთობლიობას, სადაც მასწავლებლები აკეთებენ იმას, რაც შეუძლიათ და/ან რაც სურთ, რაც ყოველთვის არ ნიშნავს ხარისხიან სწავლებას“ (9, გვ: 52).

სწავლების მონიტორინგის მიზნით სკოლის ინფორმაციის მოპოვების სხვადასხვა წყარო არსებობს. სწავლების ეფექტურობის შესახებ სკოლის დირექტორს ან სხვა პასუხისმგებელ პირს შეუძლია ინფორმაცია სხვადასხვა წყაროდან მოიპოვოს. ეს შეიძლება იყოს: მოსწავლეების აკადემიური შედეგები, საგაკვეთილო პროცესი, მასწავლებლის მიერ შემუშავებული საგნობრივი სასწავლო გეგმა, მოსწავლეების საშინაო დავალებები, მასწავლებლის მიერ შემუშავებული ტესტური დავალებები, პროექტები, პორტფოლიოები, მშობლებისა და მოსწავლეების გამოკითხვა და სხვ. ზემოთ ჩამოთვლილ წყაროებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გაკვეთილზე დასწრებას (11, გვ: 124). მკვლევარების აზრით, სწორედ გაკვეთილებზე ხშირი დასწრებითა და მასწავლებლებისთვის რეკომენდაციების მიცემით შეუძლია სკოლის დირექტორსა და ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლებს ყველაზე დიდი ეფექტი მოახდინონ მოსწავლეების მიღწევებზე. ამიტომაცაა, რომ წარმატებული სკოლის დირექტორები თავიანთი სამუშაო დღის მნიშვნელოვან ნაწილს სწორედ საკლასო ოთახებში ატარებენ.

კვლევები ცხადყოფს, რომ სწავლისა და სწავლების მონიტორინგი ეფექტურია მაშინ, როდესაც იგი მიმართულია ხარისხის გაუმჯობესებაზე და არა რაიმე სახის სანქციების ამოქმედებაზე. ხშირი მონიტორინგი მოსწავლეებსაც და მასწავლებლებსაც ეხმარება დროულად შენიშნონ და ყოველგვარი შიშის გარეშე აღიარონ არსებული ხარვეზები და დროულად აღმოფხვრან ისინი (9, გვ: 53).

გაკვეთილზე დასწრება წარმოადგენს სკოლის დირექტორის, როგორც სასწავლო პროცესის ხელმძღვანელის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას. მიუხედავად სკოლის ხელმძღვანელის დატვირთული სამუშაო გრაფიკისა, აუცილებელია, რომ მან სათანადო დრო დაუთმოს მისი საქმიანობის ამ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას, რადგან სწორედ ამ გზით შეუძლია მას მიიღოს ყველაზე ღირებული და სანდო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენად ეფექტურად ახორციელებს მასწავლებელი

თავის საქმიანობას და, ზოგადად, თუ როგორ მიმდინარეობს სწავლება/სწავლის პროცესი სკოლაში. ამდენად, გაკვეთილებზე დასწრებით სკოლის დირექტორს შეუძლია შეაფასოს სწავლის ხარისხი, განახორციელოს მისი გაუმჯობესებისათვის აუცილებელი ღონისძიებები და, შესაბამისად, ხელი შეუწყოს მოსწავლეთა მიღწევების ამაღლებას.

§2. გაკვეთილზე დასწრების ტრადიციული და თანამედროვე მოდელები

განათლების ექსპერტები ერთხმად აღიარებენ, რომ გაკვეთილზე დასწრება მასწავლებლის საქმიანობის და, ზოგადად, სწავლების ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მექანიზმია. განასხვავებენ 2 სახის დასწრებას: ფორმალურსა და არაფორმალურს.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში ფორმალური დასწრების არსებობა არ გამორიცხავს არაფორმალური დასწრების პრაქტიკის განხორციელებას. ორივე მოდელს გააჩნია საკუთარი ღირსებები და ნაკლოვანებები. ამიტომ, სასურველია სკოლის დირექტორმა ორივე ტიპის დასწრება გამოიყენოს მასწავლებლის საქმიანობისა და ზოგადად, სწავლა-სწავლების პროცესის შეფასების მიზნით.

ფორმალური დასწრება სტრუქტურულად სამ კომპონენტს მოიცავს: გამხსნელი შეხვედრა, გაკვეთილზე დასწრება და შემაჯამებელი შეხვედრა. ფორმალური დასწრების დროს სამივე კომპონენტის განხორციელება მნიშვნელოვანია მისი ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით. ფორმალური დასწრება სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს სიღრმისეულ ინფორმაციას აწვდის სწავლებისა და სწავლის პროცესის შესახებ. თუმცა, ამასთანავე, დროის დიდ რესურსს მოითხოვს, რის გამოც მისი განხორციელება თითოეულ მასწავლებელთან შესაძლებელია სასწავლო წლის მანძილზე მხოლოდ ერთხელ ან ორჯერ.

არაფორმალური დასწრების მოდელის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ მხარდამჭერს წარმოადგენს კიმ მარშალი, რომელიც ამ სახის მონიტორინგს გაკვეთილზე მინი დასწრებას უწოდებს. არაფორმალური ანუ მინი დასწრება გულისხმობს გაკვეთილზე ხანმოკლე, ხშირ და გაუფრთხილებელ დასწრებებს. კიმ მარშალი აღნიშნავს, რომ 10 წუთი გაკვეთილზე დასწრების ყველაზე ოპტიმალურ ხანგრძლივობას წარმოადგენს. მისი აზრით, გაკვეთილზე შესვლის მომენტიდან პირველი 5 წუთის განმავლობაში დამსწრე პირი იღებს მზარდი რაოდენობით ინფორმაციას. 5–15 წუთის მონაკვეთში ახალი ინფორმაციის რაოდენობა სტაბილური ხდება, ხოლო 15 წუთის შემდეგ კი საკლასო ოთახში გატარებულ ყოველ დამატებით წუთთან ერთად ახალი ინფორმაციის მიღება მცირდება.

როგორ და ვის მიერ ხორციელდებოდა დასწრება XIX საუკუნის 60-70-იან წლებში?

თემაზე მუშაობის დროს ჩატარებულმა გამოკითხვებმა ცხადყო, სკოლაში ყველა დროში გამოიყენებოდა და ამჟამადც გამოიყენება გაკვეთილზე დასწრების ტრადიციული (ფორმალური) მოდელი. როგორც გამოკითხულ რესპოდენტთა უმრავლესობა ადასტურებს, გაკვეთილზე დასასწრებად შესული პირი ესწრებოდა მთელი გაკვეთილის განმავლობაში და თუ კი დამსწრე გაკვეთილს ზარის დარეკვამდე ტოვებდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ „მას არ აკმაყოფილებდა მოსმენილი გაკვეთილი და გაკვეთილზე ბოლომდე დარჩენა დროის არამიზნობრივ ხარჯვად მიაჩნდა“. აღნიშნულმა გამოკითხვებმა იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ იმ პერიოდის დასწრება წარმოადგენდა ფორმალური და არაფორმალური დასწრების ნაერთს, რომელიც ორივე მათგანის ელემენტებს მოიცავდა. კერძოდ, ძირითადად მასწავლებელს გაკვეთილზე ესწრებოდნენ წინასწარი შეთანხმების გარეშე, რომელიც არაფორმალური დასწრების ელემენტს წარმოადგენს; გაკვეთილის მოსმენის შემდეგ კი ხდებოდა გაკვეთილის ანალიზი, ანუ ადგილი ჰქონდა ფორმალური დასწრების ელემენტებსაც: გაკვეთილზე დასწრებასა და შემაჯამებელ შეხვედრას. გამოკითხული რესპოდენტები ასევე იხსენებენ, რომ ძირითადი „შემმოწმებლები“ მაინც მაშინდელი რაიონული განათლების განყოფილების წარმომადგენლები - მეთოდისტები (და არა სკოლის დირექტორები) იყვნენ, რომელთა „კეთილგანწყობაზე“ იყო დამოკიდებული ამა თუ იმ პედაგოგის რეიტინგის განსაზღვრა.

§3. გაკვეთილზე დასწრების საკითხისადმი განსხვავებული დამოკიდებულებების აღწერა (კვლევის შედეგების ანალიზი)

გაკვეთილზე დასწრების შესახებ არსებული ლიტერატურისა და თეორიული მასალის მიმოხილვის შემდეგ, ბუნებრივია, დავინტერესდით იმ შეხედულებებითა და დამოკიდებულებებით, რომელიც არსებობს გაკვეთილზე დასწრების საკითხისადმი თანამედროვე სკოლის დირექტორებსა და პრაქტიკოს მასწავლებლებში. ჩვენი ინტერესი გამოიწვია განსაკუთრებით აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პრაქტიკოსი მასწავლებლების მოსაზრებებმა. უნდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად იმისა რომ გაკვეთილზე დასწრებისადმი ზოგადად არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა და მასწავლებლებს, როგორც წესი, არასოდეს სიამოვნებთ სხვა პირის გაკვეთილზე დასწრება, გამოკითხვის პროცესში რესპოდენტები მაინც საკმაოდ გახსნილები იყვნენ და მაქსიმალურად მივირეთ მათგან ის ინფორმაცია, რაც ჩვენს ინტერესს წარმოადგენდა. გამოკითხვები ჩავატარეთ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლებში (სულ 9 სკოლა). გამოკითხვის ანკეტა დაურიგდა სულ 115 მასწავლებელს, მაგრამ საბოლოოდ სტატისტიკისათვის ვარგისი აღმოჩნდა მხოლოდ 107 ანკეტა.

კითხვაზე, „თქვენთვის მისაღებია თუ არა გაკვეთილზე დასწრება?“ გამოკითხული 107 მასწავლებლიდან 89%-მა (95 რესპოდენტი) დააფიქსირა დადებითი,

11%-მა (12 რესპოდენტი) კი - უარყოფითი პასუხი. თუმცა, მიღებული მაჩვენებლები ნაკლებად სანდოა, რადგან არაა გამორიცხული, რომ რესპოდენტებს ამ შემთხვევაში მხოლოდ „კვლევის დამკვეთისადმი“ თავის მოწონების მცდელობა ამოძრავებდათ. წესით ჩვენ ველოდებოდით პასუხების დაახლოებით 50%-იან რადაციას, რაც ალბათ უფრო მისაღები იქნებოდა ჩვენთვის, ვიდრე მიღებული შედეგი. ამაზე ყურადღების გამახვილების საშუალებას გვამლევს ის ფაქტი, რომ გამოკითხულ მასწავლებელთა 72%-მა გაკვეთილზე დასწრების უარყოფით მხარედ დაასახელა ემოციური ფონი.


თუმცა აღნიშნული ეჭვი მეტ-ნაკლებად გაგვიქრა ანკეტის შემდეგ პუნქტზე მიღებული პასუხების შედეგად, სადაც რესპოდენტების უმრავლესობამ ძალიან კარგად ჩამოაყალიბა გაკვეთილზე დასწრების დადებითი და სხვა უარყოფითი მხარეები. მათი ანალიზისა და შეჯერებისას გამოვყავით ის ზოგადი ნიშნები, რომელიც რესპოდენტთა უმრავლესობას ჰქონდა დასახელებული. კერძოდ, გაკვეთილზე დასწრების დადებით მხარეებად ისინი მიიჩნევენ იმას, რომ ამ პროცესში:

- იზრდება როგორც პედაგოგის, ისე მოსწავლის მოტივაცია;
- მასწავლებელი უფრო მეტს მუშაობს საკუთარ თავზე და ცდილობს უფრო მეტად მოემზადოს სასწავლო პროცესისათვის;
- პედაგოგი ყოველთვის მობილიზებულია, რაც ხელს უწყობს ცოდნის დონის ამაღლებას;
- გარეშე პირი ადვილად ამჩნევს ნაკლოვანებებს;
- მასწავლებელი ითვალისწინებს მიღებულ შენიშვნებს და ცდილობს მათ გამოსწორებას;
- მასწავლებელი ცდილობს ერთნაირად მოემზადოს ყველა გაკვეთილისათვის და ა. შ.


რაც შეეხება გაკვეთილზე დასწრების უარყოფით მხარეებს, ისინი თვლიან, რომ:

- დასწრება უარყოფითად მოქმედებს და ემოციურად განაწყობს პედაგოგსაც და მოსწავლესაც;
- მოსწავლეებმა ემოციურ ფონზე შეიძლება მაქსიმალურად ვერ გამოავლინონ ცოდნა;
- მასწავლებელმა დამაბულობის გამო შეიძლება დამსწრეზე ვერ მოახდინოს ის ეფექტი, რაც ჩაფიქრებული ჰქონდა;
- გაკვეთილზე დასწრება და ხარვეზების გამოვლენა არ უნდა გამოვიყენოთ პედაგოგის, როგორც პიროვნების გაკაცების მიზნით;
- დასაშვებია, დამსწრემ არაკომპეტენტურობის გამო არასწორად შეაფასოს მასწავლებელი;
- ფსიქოლოგიური ფაქტორების გავლენით შეიძლება მასწავლებელს ჩაუვარდეს გაკვეთილი;
- განსაკუთრებით უარყოფით შედეგებს იძლევა დამსწრის მხრიდან არაკეთილგანწყობილი დასწრება.

კითხვაზე „რამდენი ხნით ადრეა საჭირო მასწავლებლის ინფორმირება გაკვეთილზე დასწრების შესახებ“, მასწავლებელთა უმრავლესობა (43%) საამისოდ საკმარის დროდ მიიჩნევს ერთი დღით ადრე პერიოდს.



კითხვაზე „რა სიხშირითაა მისაღები გაკვეთილზე დასწრება“, მასწავლებლებისათვის ყველაზე ოპტიმალურ ვადას წარმოადგენს სემესტრში 2-3-ჯერ (43%).



კითხვაზე „ვისი დასწრებაა უფრო მისაღები თქვენთვის“, პასუხები სხვადასხვანაირად გადანაწილდა. კერძოდ, მასწავლებლებისათვის ყველაზე მისაღები კანდიდატურა აღმოჩნდა კათედრის წევრი (33,1%), დირექტორი (23,3%) და დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში (20,3%).

ვისი დასწრებაა უფრო მისაღები თქვენთვის?		
დირექტორის	31	23,3%
დირექტორის მოადგილის სასწავლო დარგში	27	20,3%
სკოლის ნებისმიერი პედაგოგის	5	3,8%
კათედრის წევრის	44	33,1%
გამოცდილი კოლეგის	6	4,5%
განათლების სამინისტროს წარმომადგენლის	3	2,3%
ნებისმიერი კომპეტენტური პირის	15	11,3%
მშობლის	2	1,5%

აქვე გვინდა წარმოგიდგინოთ გამოკითხულ მასწავლებლებთან რეკომენდაციები, რომელთა ჩამოყალიბებაც ვთხოვეთ მათ გაკვეთილზე დასწრების სისტემის უმტკივნეულოდ ფუნქციონირებაში დახმარების მიზნით. ესენია:

(რეკომენდაციები გადმოტანილია ანკეტებიდან ზუსტი ინტერპრეტაციით!!)

- ✓ დამსწრე გაკვეთილზე უნდა შევიდეს მეგობრულად და მხიარულად, რომ განიტვირთონ მოსწავლეები;
- ✓ თუ მასწავლებელი დამსწრე პიროვნების მიმართ გრძნობს კეთილგანწყობასა და მხარდაჭერას, გაკვეთილსაც თავისუფლად და დაბრკოლებების გარეშე ატარებს;
- ✓ მასწავლებელი წინასწარ უნდა იყოს ინფორმირებული დასწრების დროისა და დამსწრის შესახებ;
- ✓ დამსწრე დადებითად უნდა იყოს განწყობილი მასწავლებლისადმი;
- ✓ გაკვეთილზე დასწრება უნდა მოხდეს სწავლებაში დახმარების მიზნით და არა მისი „გამოჭერის“ მიზნით;
- ✓ საჭიროა დასწრების შესახებ მოსწავლეთა წინასწარი ინფორმირება;
- ✓ გარეშე პირის მიერ მოცემული რეკომენდაციები უნდა იყოს სათანადო, კოლეგიალური და შესრულებადი;

- ✓ ვინაიდან გაკვეთილზე დასწრება უნდა მოხდეს მასწავლებლისა და მოსწავლეთა ცოდნის დონის გამოსავლენად, ამდენად მას რეგულარული ხასიათი უნდა ჰქონდეს;
- ✓ დამსწრე არ უნდა ჩაერიოს გაკვეთილის მსვლელობაში, მასწავლებელს რეკომენდაციები უნდა მისცეს გაკვეთილის დასრულების შემდეგ;
- ✓ დასწრება მიზნად უნდა ისახავდეს მასწავლებლისადმი მეთოდური რეკომენდაციების მიცემას;

როგორც ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკითხვები ცხადყოფს, არც მასწავლებელთა და ბუნებრივია, არც სკოლის დირექტორების მხრიდან არ იგრძნობა წინააღმდეგობა გაკვეთილზე დასწრების საკითხისადმი, თუმცა გამოიკვეთა გარკვეული პირობები, რომელთა დაცვა აუცილებელია გაკვეთილზე დასწრების პროცესის უმტკივნეულოდ და შედეგიანად განსახორციელებლად.

დასკვნები და რეკომენდაციები

1. ნებისმიერ (საჯარო თუ კერძო) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში უნდა ხორციელდებოდეს სასწავლო პროცესის მონიტორინგის გამართული სისტემა, რომელსაც ექნება სისტემატური (ხშირი) და მიზანმიმართული ხასიათი;
2. სასურველია სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და გაკვეთილის შეფასების არსებული კრიტერიუმების მიხედვით თითოეულმა სკოლამ შეიმუშაოს გაკვეთილის შეფასების საკუთარ სკოლაზე მისადაგებული მოქნილი კრიტერიუმები;
3. სასურველია გაკვეთილის შეფასების კრიტერიუმები გაიწეროს ქულობრივი სისტემით, რაც არა მხოლოდ დაეხმარება სკოლის ადმინისტრაციას მასწავლებლის რეიტინგის განსაზღვრაში, არამედ ამასთანავე ობიექტურსა და გამჭვირვალეს გახდის თვითონ შეფასების პროცესსაც;
4. სასურველია სკოლებში უფრო აქტიურად ამოქმედდეს ურთიერთდასწრების სისტემა, რაც მიაჩვევს მასწავლებლებს სხვა პირის გაკვეთილზე დასწრებას და ამ გზით მოუხსნის სხვისი დასწრებით გამოწვეულ არასასიამოვნო განცდებს;
5. გაკვეთილზე დასწრებით გამოწვეული უარყოფითი ემოციის შემცირებას მეტ-ნაკლებად შეუწყობს ხელს:
 - b. სკოლებში ვიდეომონიტორინგის სისტემის მასიურად შემოღება;
 - c. სასურველია ვიდეომონიტორინგის თვით საკლასო ოთახებში შემოღებაც (ბუნებრივია, უხმო ეფექტით), ვინაიდან ასეთ სიტუაციაში მასწავლებელი ზოგადად მიჩვეული იქნება მონიტორინგსა და კონტროლს;
6. სასურველია სკოლებში მასიურად დაინერგოს ღია სარკმლის პრინციპი, რაც ერთ-ერთი საუკეთესო ნაცადი ხერხია სასწავლო პროცესის ნორმალური ორგანიზებისათვის;
7. სასურველია, სკოლებში დაინერგოს ღია კარის კვირეული, რომლის ფარგლებშიც სკოლა წელიწადში ერთხელ ერთი კვირის განმავლობაში უმასპინძლებს ამ სფეროთი დაინტერესებულ ნებისმიერ პირს და გაკვეთილების ჩატარების პროცესში „ღია კარის“ პრინციპით ეტაპობრივად მიაჩვევს თავისი სკოლის უცხო პირის დასწრებასა და შესაბამისად მონიტორინგსა და კონტროლს;

8. სასურველია სკოლაში მასწავლებლის თვითშეფასების სისტემის ამუშავება, რისთვისაც თითოეულმა სკოლამ უნდა შეადგინოს თვითშეფასების გამართული კითხვარი. აღნიშნული თვითშეფასება მასწავლებელს დაეხმარება არა მხოლოდ საკუთარი თავის ობიექტურად შეფასებაში, არამედ გაუზრდის მას პასუხისმგებლობასა და მოტივაციას;
9. სასურველია წახალისების/დასჯის უფრო გამართული სისტემის ამუშავება სკოლაში, რომლის მიზანი, სხვა დანარჩენთან ერთად, გაკვეთილზე დასწრების შედეგების გამოყენებაც იქნება;
10. სასურველია სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე მოსწავლეთა ხშირი და მიზანმიმართული (ანონიმური) გამოკითხვები, რადგან ნებისმიერი მასწავლებლისა და ნებისმიერი გაკვეთილის ყველაზე ობიექტური შემფასებელი სწორედ მოსწავლეა და სასწავლო პროცესის მისი თვალთ დანახული და გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეები (ობიექტურობის შემთხვევაში) ყველაზე კარგი საშუალებაა სამომავლო გეგმების დასასახად;

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ. არახამია. პრაქტიკული დიდაქტიკისა და სკოლათმცოდნეობის ზოგიერთი საკითხი. ქუთაისი, 2010 წ.
2. რიჩარდ ა. გორტონი, ჯუდი ა. ალსტონი, პეტრა ი. სნოუდონი. ლიდერობა და ადმინისტრირება სკოლაში, მნიშვნელოვანი ცვლილებები, სიტუაციური სავარჯიშოები და სიმულაციები, მე-7 გამოცემა. მაკ გროუ ჰილი, 2008.
3. დამხმარე სახელმძღვანელო სკოლის დირექტორებისთვის. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. თბილისი, 2011 წ.
4. ეროვნული სასწავლო გეგმა, 2012 წ.
5. რობერტ ჯ. მარზანო, ჯენიფერ ს. ნორფორდი, მარსია დ' არქანჯელო. რა განაპირობებს სკოლის ეფექტურობას. თბილისი, 2009 წ.
6. ნ. მაჭავარიანი, ბ. ხუბუტია. სკოლის დირექტორის სამაგიდო წიგნი (სარეკომენდაციო). თბილისი, 2011 წ.
7. ნ. ნიჟარაძე, ქ. მაკლეინი, ტ. ბოლი, ნ. გოგიჩაძე, თ. ლოღია. სასწავლო და პროფესიული გარემო. დამხმარე სახელმძღვანელო III. თბილისი, 2008 წ.
8. საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“. თბილისი, 2005 წ.
9. სკოლის დირექტორის პრაქტიკული გზამკვლევი. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. თბილისი, 2011 წ.
10. სკოლის მართვის სახელმძღვანელო. თავისუფლების ინსტიტუტი. თბილისი, 2006 წ.
11. ქ. ჩაჩხიანი, შ. ტაბატაძე. სასწავლო პროცესის ხელმძღვანელობა. გზამკვლევი სკოლების ადმინისტრაციისთვის. თბილისი, 2010 წ.
12. გ. ხუხუა. პედაგოგიკა. თბილისი, 2009 წ.

ტექსტში გამოყენებული დიაგრამები, ცხრილები, სურათები:

1. ცხრილი-1;
2. დიაგრამა-2.